სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/22

(ოქმი N27)

ქ. ბათუმი 22.11.2019წ

„მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35^{10} მუხლის პირველი და მეხუთე პუნქტების, მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტის (მიღებული: 14/07/2016 გადაწყვეტილება N01-01-14 ოქმი N8) მე-7 და მე-11 მუხლების და მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის 16 სექტემბრის N01-01-20 გადაწყვეტილებით დადგენილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის) წესის 5.1. 5.2. 5.4. და 5.5. პუნქტების საფუძველზე:

1. გიორგი კოხრეიძე (პ/ნ 01005002334) დაინიშნოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის თანამდებობაზე სამი წლის ვადით.

2. მაუწყებლის დირექტორის უფლებამოსილება დაიწყოს დანიშვნის მომენტიდან.

3. მაუწყებლის დირექტორის უფლებამოსილება განისაზღვროს „მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კნონით, მაუწყებლის დებულებით და მაუწყებლის დირექტორთან დადებული შრომის ხელშეკრულებით.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის განმავლობაში მისი გამოქვეყნების დღიდან.

5. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე „ajaratv.ge''

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის

და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

გიგა ჩხარტიშვილი